პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 აგვისტო, სამშაბათი, 1985 წ. № 155 (8995) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჯანსაღი ატმოსფეროსთვის

ნაკლოვანებების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის კურსს, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია განუხრელად ახორციელებს, ჩვენი საზოგადოებრიობა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საერთო გაჯანსაღების აუცილებელ პირობად და სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის გარანტიად აღიქვამს. ეს სულისკვეთება წითელ ხაზად გასდევდა ახლახან გამართულ საქართველოს იდეოლოგიური აქტივის კრებას. კრებამ განიხილა კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის, სოციალისტური ცხოვრების წესისა და კომუნისტური მორალის ნორმებისა და პრინციპების საყოველთაო დამკვიდრებისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების აქტუალური ამოცანები.

აქტივის კრებამ გლობალურად იმსჯელა ამ საკითხებზე. „დღეს არ არის ძალებისა და ცოდნის გამოყენების ისეთი წერტილი, სადაც საბჭოთა ადამიანების ინტელექტუალურ-ზნეობრივი პოტენციალი, პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა გადამწყვეტ გავლენას არ ახდენდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის დონესა და ტემპზე" — ნათქვამია ღია წერილში, რომელიც იდეოლოგიურ მუშაკთა აქტივის კრებამ მიიღო. ეს სიტყვები, ისევე როგორც მთლიანად მიმართვა, სავსებით ესადაგება ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას.

კერძომესაკუთრული ტენდენციები სპორტშიც ვლინდება (მართალია, სხვა ფორმით, მაგრამ მაინც). ჩვენს შორისაც არიან ადამიანები, რომლებიც მესაკუთრული, მომხმარებლური სულისკვეთებისაგან დღემდე ვერ გათავისუფლებულან და საზოგადოებრივ ინტერესებს პირადულს ამჯობინებენ. მკითხველს ემახსოვრება, ამას წინათ „ლელომ" მამხილებელი წერილი გამოაქვეყნა მწვრთნელ-რეპეტიტორებზე. ყველამ კარგად იცის, როგორ ვნებს ეს მავნე პრაქტიკა ჩვენს სპორტს, როგორ ამახინჯებს იგი აღზრდის პრინციპებს.

მუშტრული ფსიქოლოგიის მქონენი ჩირქს სცხებენ ისეთ სფეროს, რომელიც თავისი ბუნებით წმინდაა და სალახი. ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა წლევანდელმა ატესტაციამ მრავალი ფსევდო-სპეციალისტი ამხილა. ამხილა ისინი, ვინც მხოლოდ თავის სასარგებლოდ ირჯებოდა, სპორტისგან მხოლოდ სარგებელს ელოდა, თავის მხრივ კი გაღება არაფრისა არ სურდა.

იდეოლოგიურ მუშაკთა აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა თქვა, რომ „სერიოზული დარღვევები წარმოიქმნება უწინარესად იქ, სადაც შესუსტებულია მომთხოვნელობა, პრინციპულობა, სადაც სუფევს ყოვლისპატიების ატმოსფერო, თავს იჩენს მოჩვენებითობა და ფორმალიზმი, მაშასადამე, ჩვენ კვლავაც უნდა ავამაღლოთ დისციპლინის დონე, კადრების ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა". სასიხარულოა, რომ დღეს სპორტში თანდათან მკაფიოდ იკვეთება დადებითი ტენდენციები, უფრო მწვავე და პრინციპულ ხასიათს იძენს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, მაღლდება სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი.

ზოგჯერ მავანის პირადი კეთილდღეობისკენ სწრაფვა დიდხანს რჩება შეუნიშნავი, რჩება საერთო საქმის, ქართული სპორტის საზიანოდ. სამაგალითოდ ჩვენში საკმაოდ გავრცელებული მანკიერება—ასაკის გადაკეთებაც კმარა. რა ამოძრავებთ მაქინატორებს? რასაკვირველია, მატერიალური და მორალური წახალისების სურვილი, პირადი კეთილდღეობა. არადა, ყველაფერი ეს ხდება მოზარდთა მონაწილეობით. სამწუხაროდ, ამ საძრახის საქმეში მწვრთნელებს ხშირად მშობლებიც ეხმარებიან.

განსაკუთრებით მოუთმენელია ის, რომ ხშირად ულირსად იქცევა არა მარტო კონკრეტული პიროვნება, არამედ მთელი ორგანიზაცია, კოლექტივი. სპორტული საზოგადოებები, მაგალითად, ხშირად არ ზრუნავენ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში რეზერვის აღზრდაზე და ცდილობენ სხვის ხარჯზე გავიდნენ ფონს. უდავოდ დასაგმობი საქციელია. ჩვენ ხშირად გვწერენ, გვირეკავენ კიდეც, რომ სპორტსმენი, რომელმაც წარმატება მოიპოვა, მათი სპორტსაზოგადოების წარმომადგენელია, არადა სხვამ მიითვისა. ბევრჯერ ჩავრეულვართ და გაგვირკვევია, რომ „სადაო სპორტსმენი" არც ერთს აღუზრდია და არც მეორეს. პირდაპირ ვიტყვით, ჩვენი სპორტული საზოგადოებები მეტწილად განათლების სამინისტროს სპორტულ სკოლებს არიან ამოფარებულნი. ალბათ დროა აქაც წესრიგი დამყარდეს.

რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივი, რომელმაც ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად უნდა დარაზმოს ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები, ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ სპორტში, ამ ჯანსაღ სფეროში, ამოძირკვოს მახინჯი მოვლენები, შექმნას საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ატმოსფერო, განუხრელად გაატაროს ცხოვრებაში იდეოლოგიური აქტივის კრების გადაწყვეტილებები.

● ფიზკულტურელის დღე — საყოველთაო დღესასწაული ●

## აფხაზეთში ნამდვილი ზეიმი იყო

ფიზკულტურელის დღე აგვისტოში ტარდება. ხშირად გაიგონებთ, ეს დრო შვებულებებისა და არდადეგების პერიოდია, მასობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარება ძალიან ძნელდებაო. ამგვარი მტკიცების ნაწილობრივ გაზიარებაც შეიძლება და სრული უარყოფაც: უარყოფა იმდენად, რამდენადაც ზაფხულში, თუნდაც აგვისტოში, ქალაქებსა და სოფლებში ისევე ჩვეულებრივი ცხოვრებაა, როგორც დანარჩენ თვეებში. მუშაობენ საწარმო დაწესებულებები, პიონერული ბანაკები, ჩვეულებრივი რიტმით ირჯება სოფელი. ერთი სიტყვით, ფიზკულტურისა და სპორტისთვის „არდადეგები" და „შვებულება" არასდროს დგება. მით უფრო, დღეს მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა წინა პლანზეა წამოწეული და სწორედ კარგი დროა, ოჯახები მივიწვიოთ სპორტულ ბაზებზე.

რესპუბლიკაში ბევრგან მართლაც დიდი მონდომებით ჩაატარეს ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებული ზეიმი. ჩვენმა სოხუმელმა კორესპონდენტმა გვაცნობა, რომ ამ დღეს მთელ აფხაზეთში ჭეშმარიტად დიდი სპორტული დღესასწაული იყო. ზეიმში დამსვენებლებიც მონაწილეობდნენ. სტუმრები ცხენოსნობის ეროვნული სახეობების ხილვითაც მოიხიბლნენ. სახალხო ზეიმად იქცა ფიზკულტურელის დღე საგარეჯოს რაიონის სოფელ მარტყოფშიც. ალბათ გახსოვთ, მარტყოფელებმა მოწოდებითაც მიმართეს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს, რომ მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. რაღა თქმა უნდა, თაოსნები მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ და ფიზკულტურელის დღე მართლაც სანაქებოდ აღინიშნა მარტყოფში. დღესასწაული ჩატარდა აგრეთვე წულუკიძის რაიონის სოფელ გორდში.

ბევრი კარგი ღონისძიება მოეწყო რუსთავში. ქალაქი ფეხბურთში იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ემზადება და ამ საზეიმო განწყობამ მეტი სტიმული მისცა რუსთაველთა ზეიმს. დღესასწაულმა კარგად ჩაიარა ბორჯომში, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში და 26 კომისრის სახელობის რაიონში. მაგრამ ბევრგან ზოგიერთი სპორტული ბაზა, განსაკუთრებით საცურაო აუზები, მათ შორის თბილისშიც (გარდა ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსისა), ამ დღეს გამოკეტილი იყო. ფიზკულტურელის დღისათვის შეუფერებელი სიწყნარე იყო მცხეთაშიც.







ზაფხულს თავის გამოჩენის ბოლო შანსიღა დარჩა— აგვისტო. დროდადრო ქალაქში სიცხის ალმური ტრიალებს. სუნთქვა გაჭირდა. ამაზეა ნათქვამი: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო". ხალხი ქალაქგარეთ გარბის, ტყე-პარკებს მიეძალა, ლისისა და კუს ტბაზე, განსაკუთრებით თბილისის ზღვაზე უჩვეულო ხალხმრავლობაა.

ეს ფოტოკადრები ფიზკულტურელის საკავშირო დღეს ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ კახრაძემ თბილისის ზღვაზე გადაიღო.

## ექვსი თბილისელი ფინალში

**ხარკოვში** გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალი მძლეოსნობაში, რომელშიც თბილისელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. აქვე ვიტყვით, რომ კიდევ სამი ასეთივე შეჯიბრება ჩატარდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. შეჯიბრების დებულების მიხედვით, ამ ოთხ ნახევარფინალში საპრიზო ადგილებზე გასულმა სპორტსმენებმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური სტადიის საგზურები მოიპოვეს.

სასიხარულოა, რომ მათ შორის ჩვენი ექვსი სპორტსმენიცაა. ხარკოვში მათგან ყველაზე უკეთ **მაია აზარაშვილმა** და **ელგუჯა ქორთიევმა** იასპარეზეს. მაიამ ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში — 23,4, ხოლო ქორთიევმა შუბი 75,40 მეტრზე ტყორცნა და მანაც პირველი ადგილი დაიკავა. მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: **ალექსანდრა აბაშიძე** ბირთვის კვრაში (18,42 მ) და **ალექსანდრე ლევჩენკო** ჭოკით ხტომაში (5 მ). ფინალის დანარჩენი ორი საგზური **ალი ალიევმა** და **ანდრეი კურდინოვსკიმ** მოიპოვეს. ალიევმა 200-მეტრიან დისტანციაზე 21,3 აჩვენა და მესამე ადგილზე გავიდა. სამხტომელთა შორის ასეთსავე წარმატებას მიაღწია კურდინოვსკიმ (16,63 მ).

**თბილისის ნაკრებმა ნახევარფინალში მოასპარეზე 20 გუნდს შორის მე-7 ადგილი დაიკავა**, რაც ჩვენი მძლეოსნებისთვის ურიგო შედეგი არ არის. თასის გათამაშების ფინალი 12-14 სექტემბერს მოეწყობა ალმა-ათაში.

### მსოფლიო რეკორდის ჭერი ამაღლდა

**მძლეოსანთა** საკავშირო თასის ნახევარფინალში დიდ წარმატებას მიაღწია 23 წლის კიეველმა **რუდოლფ პოვარნიცინმა**. სიმაღლეზე ხტომაში მან დასძლია თამასა, რომელიც 240 სანტიმეტრზე იყო დამაგრებული. ეს შედეგი 1 სანტიმეტრით აღემატება ჩინელ ჩჟუ ცზიანხუას მსოფლიო რეკორდს, რომელიც შარშან ივნისში დამყარდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოვარნიცინმა (მისი სიმაღლე 201 სმ) თავისი პირადი რეკორდი მთელი 14 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

### ყველაზე სწრაფი მსოფლიოში

**მოცურავეთა** ევროპის ჩემპიონატში კვლავ გამოიჩინა თავი გფრ-ისა და მსოფლიოს უძლიერესმა სპორტსმენმა მიჰაელ გროსმა. 200 მეტრი ბატერფლაით მან 1.56,65-ში გაცურა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი, რომელიც ასევე გროსს ეკუთვნოდა, 1.57,01 იყო.

### ევროპის უმაღლესი მიღწევა

**ბუდაპეშტი.** მძლეოსნობაში ევროპის თასის გათამაშების „ბ" ფინალში ბულგარელმა ხრისტო მარკოვმა სამხტომში კონტინენტის ახალი რეკორდი დაამყარა — 17 მ. 77 სმ. მარკოვმა 8 სანტიმეტრით გააუმჯობესა ოლეგ პროცენკოს (მოსკოვის ოლქი) ძველი მიღწევა, რომელიც ერთი კვირის წინ ლენინგრადში, მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის დროს იქნა დამყარებული.

## ინფორმაცია

### კალათბურთი

**ვარნა.** საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა გადამწყვეტ შეხვედრაში ანგარიშით 90:75 დაამარცხა ბულგარეთის გუნდი და საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა.

### ჩოგბურთი

**სტრატ ონე (აშშ).** ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ჯონ მაკინროუმ (აშშ) დაამარცხა ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) ანგარიშით 7:6 და 6:2. ახლა მსოფლიოს ამ ორი საუკეთესო ჩოგბურთელის პირადი შეხვედრების ანგარიშია 12:11 ამერიკელის სასარგებლოდ.

### ველოსპორტი

**ნიუ-იორკი.** აშშ-ის გზებზე მიმდინარე მრავალდღიანი ველორბოლის მე-8 ეტაპი ამერიკელმა ფურლოუ როჯერსმა მოიგო. რვა ეტაპის ჯამში ლიდერობას ინარჩუნებს მეორე ამერიკელი სპორტსმენი გრეგ ლემონდი.

### აკადემიური ნიჩბოსნობა

**ბერლინი.** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში გდრ-ის ნაკრებმა მოიგო. ამ ქვეყნის სპორტსმენებს წილად ხვდათ 7 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი. მეორე ადგილზე საბჭოთა ნიჩბოსნები გავიდნენ.

# მეშახტეთა ქალაქის სპორტული ფერისცვალება

წერილი. მეოთხე

ტყიბულელები დღესაც მადლიერების გრძნობით იხსენებენ ქალაქის 60-იანი წლების ხელმძღვანელებს. იმ ხანებში რესპუბლიკაში სპორტული ბაზების მშენებლობა მაინცდამაინც საპრესტიჟო საქმედ არ ითვლებოდა, მაგრამ იყო ხალხი, ვისაც სჯეროდა, რომ სპორტული ბაზები — სტადიონი, სპორტული დარბაზი თუ საცურაო აუზი ისევე აუცილებელია მშრომელი ადამიანებისთვის, ახალგაზრდობისთვის, როგორც კულტურისა და განათლების კერები თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ასე ფიქრობდა ტყიბულის მაშინდელი ხელმძღვანელობა და თითქმის დაუჯერებელი ამბავი თუ კაცმა მოინდომა, მთას გადააბრუნებსო. მეშახტეთა ქალაქში საერთო მონდომებით სულ მალე მწყობრში ჩადგა შესანიშნავი სტადიონი. მერე საცურაო აუზის მშენებლობაც დაიწყო, სპორტული დარბაზები და სპორტული მოედნები შახტებთანაც გაჩნდა. მაშინ ჩაეყარა საფუძველი სპორტული ტყიბულის ცხოვრებას. აღებული ტემპი არ განელებულა და ქალაქის ცენტრი სპორტის სასახლემაც დაამშვენა.

ახლა სტადიონი, საცურაო აუზი და სპორტის სასახლე ტყიბულელთა კულტურულ-სპორტული კომპლექსის დასაყრდენი ობიექტებია. ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-



ტყიბულის საცურაო აუზს საჭყუმპალაოც შეემატა.

მოხდა — ქალაქში, რომელსაც ირგვლივ მთები შემოსჯარვია და საცხოვრებელი ბინების მშენებლობისთვისაც არ არის გასაქანი, სტადიონის აშენება გადაწყდა. როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვიდა, გრანდიოზული სპორტული ბაზის კონტურების გამოკვეთა პირდაპირ ქალაქში შემოჭრილ მთაზე იერიშით დაიწყო. აკი ნათქვამია, ერთი პირველი ასეთი კომპლექსი სწორედ მეშახტეთა ქალაქში გაიხსნა. დღეს იგი 100-მდე სპორტულ და კულტურულ ობიექტს აერთიანებს. კომპლექსის ხელმძღვანელობა (საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ცირეკიძე) მუშაობაში იმთავითვე ითვალისწინებს იმ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, რაც თავის დროზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული სამუშაო ჯგუფის სხდომაზე გამოითქვა. ახლა ყველა კულტურულ-სპორტული ღონისძიება კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოში იგეგმება და მისივე ხელშეწყობითა და კონტროლით ტარდება. საქმისადმი ამგვარმა მიდგომამ წაშალა ვიწრო უწყებრივი ინტერესები, დაქსაქსული ძალების გაერთიანებამ კი გაზარდა და გაამრავალფეროვნა შესაძლებლობები, რაც სახსრების კოოპერირების შედეგად ეკონომიკური ბაზისით განმტკიცდა. ერთ ინტერესებს დაექვემდებარა კულტურული და სპორტული ობიექტების საქმიანობა. ოღონდ ეგაა, კულტურულ-სპორტულ კომპლექსს ჯერჯერობით შტატიანი მუშაკები არა ჰყავს, რაც, ცხადია, აფერხებს აქტიურობას. აუცილებელია პირველ ეტაპზე პასუხისმგებელი მდივნის, ან, ვთქვათ, ორგანიზატორისა და ბუღალტრის შტატი მაინც გამოიყოს. ვფიქრობთ, ამ საკითხს სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს ქალაქის ხელმძღვანელები, მათი წინადადება კი ზემდგომ ინსტანციებშიც ჰპოვებს მხარდაჭერას. ნუ დაგვავიწყდება: ამ საკითხის დროულ გადაჭრასთან დაკავშირებულია მეშახტეთა საერთო ინტერესები. ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული კულტურულ-სპორტული კომპლექსის დიდი შესაძლებლობები, სრულად არაა დატვირთული კულტურული და სპორტული კერები. მხედველობაში გვაქვს თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენება, კულტურული და სპორტული სანახაობების სინთეზი, ჯანმრთელობის ჯგუფებში მოსახლეობის მოზიდვა, მასობრივი სპორტის მასშტაბების გაფართოება.

ჩვენი წერილების სერიების დასასრულს გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ტყიბულის სპორტკომიტეტის საქმიანობაზე. სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ ასე მოკლე დროში შესაძლებელი იქნებოდა კომიტეტის მუშაობის არსებითი გარდაქმნა. გვინდა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ იქ, სადაც პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერა და კონტროლია, ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ახლა ტყიბულის მთელ ფიზკულტურულ აქტივს (კომიტეტის თავმჯდომარე ვაჟა მერკვილაძე) მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი არა მარტო სადღეისო, არამედ სამომავლო ამოცანებიც და გეგმაზომიერად მიჰყვება აღებულ კურსს.

თამამად შეიძლება ისიც ითქვას, რომ რესპუბლიკის რეგიონებიდან ყველაზე უკეთესი სამუშაო პირობები ახლა ტყიბულის სპორტკომიტეტს აქვს. ქალაქის ხელმძღვანელობამ ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართული დაუთმო სპორტის მუშაკებს, იქვეა საჭადრაკო კლუბიც. ბინის სარემონტო სამუშაოების ჩატარებასა და კეთილმოწყობაში ტყიბულელებს დიდი დახმარება გაუწია რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა.

**თენგიზ თომაშვილი.**
**(„ლელოს“ სპეც. კორესპონდენტი).**
ტყიბული.

---

**დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 146, 148, 151.**

**ლახტის წრეში**

# სექტემბერი კი კარს მოგვადგა

**ახალი** სასწავლო წლის დაწყებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. პირველ სექტემბერს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ თუ საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების სამინისტროს სასწავლებლებში ჩვენს მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას ბევრი სიახლე დახვდება. ახალგაზრდებს დიდ სიხარულს მოუტანს ახალი სპორტული ბაზები. სამწუხაროდ, გულდასაწყვეტი ფაქტებიც იქნება. მაგალითად, თელეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის მოსწავლეები მშობლიური სასწავლებლის კედლებში ვერ შეძლებენ ვარჯიშს სხეულის გასაკაჟებლად.

ტექნიკუმის შენობა ამ ხუთი წლის წინ აიგო. დამპროექტებლებმა თანამედროვე მოთხოვნები გაითვალისწინეს და, ცხადია, მხედველობიდან არც სპორტული დარბაზი გამორჩენიათ. დარბაზი დიდი და ნათელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მშენებლებმა უგულისყურობა გამოიჩინეს. ჯერ იყო, იატაკს, რომელიც სისქით 7 სანტიმეტრი მაინც უნდა ყოფილიყო, 4 სანტიმეტრი დააკლეს, მერე იატაკქვეშ საჰაეროს დატანებაც დაავიწყდათ. ამიტომ 3-სანტიმეტრიანი იატაკიც მთლად ჩაიმტვრა და დალპა. სარემონტო სამუშაოები შარშან ოქტომბერში დაიწყო იმ ვარაუდით, რომ ყველაფერი რამდენიმე თვეში დამთავრებულიყო, მაგრამ აი, ახალი სასწავლო წელი მოახლოვდა და საქმე სანახევროდაც არ არის გაკეთებული. ხანდახან კანტიკუნტად თუ შემოივლიან მუშები, როცა სხვა ობიექტზე საქმეს დაამთავრებენ. გამოდის, რომ ერთი სასწავლო წელს მეორეც მოჰყვება, სანამ ტექნიკუმის ახალგაზრდობა დარბაზს ეღირსებოდეს. ზოგიერთი ისე დაამთავრებს სასწავლებელს, მოსაგონრადაც არ გაჰყვება ამ სპორტულ ობიექტზე მეგობრებთან გატარებული წუთები.

დარბაზის რემონტის გაჭიანურება მით უფრო მოუთმენელია, რომ ტექნიკუმს, სამწუხაროდ, არც ღია კომპლექსური სპორტული ბაზა გააჩნია. ამ სასწავლებელში 500-მდე მოსწავლეა და ერთადერთი ხელბურთის მოედანი, ცხადია, მათი ფიზიკური აღზრდის თუნდაც პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ გასწვდება. მოსწავლეებს კი, ეტყობა, სპორტი ძალიან უყვართ და თავად რომ არ გააჩნიათ წვრთნა-ვარჯიშის პირობები, შენობაში სამი ვეებერთელა სტენდი მოუწყვიათ, რომლებზეც ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს საუკეთესო ათლეტების სპორტული ცხოვრების ამსახველი ფოტოებია გამოფენილი.

ვიმედოვნებთ, გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელობა, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების სამინისტრო გაერკვევიან შექმნილ ვითარებაში და ყველაფერს გააკეთებენ, რათა მოსწავლეებმა რაც შეიძლება მალე ჩაიბარონ სპორტული დარბაზი.

**„ლელოს“ ბრიგადა.**

---

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

# „ჩაშლილი ზეიმი“

**მიმდინარე** წლის 23 ივლისს „ლელომ“ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „ჩაშლილი ზეიმი“. წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ „ცურვის დღესთან“ დაკავშირებით დანიშნული სპორტული დღესასწაული თბილისში არ შედგა.

თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **ჯანსულ ბაგრატიონმა** რედაქციას გამოუგზავნა პასუხი, რომლითაც გვაცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. პასუხში ვკითხულობთ: „მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარეებმა ვერ უზრუნველყვეს „ცურვის დღის“ ორგანიზებულ დონეზე ჩატარება. კომიტეტის გადაწყვეტილებით რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარეებს **ა. გვარამაშვილს** (ლენინის რაიონი), **ო. რამიშვილს** (გლდანის რაიონი), **ს. ნემსიწვერიძეს** (საქარხნო რაიონი) **გამოეცხადათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.** სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლებს **გ. ბერიაშვილს** (პირველი მაისის რაიონი), **პ. ასტვაცატუროვს** (კიროვის რაიონი), **თ. ჯოგლიძეს** (კალინინის რაიონი), **გ. ბოკუჩავას** (26 კომისრის რაიონი), **რ. შიოიანს** (ოქტომბრის რაიონი) **გამოეცხადათ საყვედური.** მიღებული ზომების შესახებ ეცნობათ სახალხო დეპუტატების შესაბამის რაიონულ საბჭოს აღმასკომებს, **საყვედური გამოეცხადა** აგრეთვე ქალაქის სპორტკომიტეტის წყალთა სახეობების ინსტრუქტორს **ლ. მჭედლიშვილს**“.

---

**თამაშების ექო**

**ჭაბუკთა პირველ საკავშირო სპორტულ თამაშებზე კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში ყველაზე ელეგანტური მსაჯისათვის პრიზი რომ დაეწესებინათ, მას ალბათ თბილისელი ავთანდილ კუხიანიძე მიიღებდა. ავთანდილი საოცრად დახვეწილი ჟესტიკულაციით გამოირჩევა, მაგრამ, მოგეხსენებათ, არბიტრის შესაფასებლად არც მარტო ელეგანტურობა გამოდგება და არც მარტო ჟესტ-მიმიკა. მსაჯობის უპირველესი და უმთავრესი საზომი ობიექტურობა გახლავთ. კუხიანიძე ამ მხრივაც მოწოდების სიმაღლეზე დგას და სწორედ ამიტომ დაიმსახურა საკავშირო სპორტკომიტეტის სიგელი.**

# სპორტი მისი მუდმივი თანამგზავრია

ჭაბუკობის წლებში ავთანდილ კუხიანიძეს ფრიად პერსპექტიულ მოჭიდავედ მიიჩნევდნენ და ამ იმედს ამართლებდა კიდეც. რამდენჯერმე რესპუბლიკურ პირველობებშიც გაიმარჯვა. „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე ოქროს მედალი მოიპოვა, მაგრამ მერე დაშავდა და იძულებული გახდა არენას გამოთხოვებოდა, ოღონდ მთლიანად არა, რადგან სპორტის საყვარელი სახეობის გარეშე ცხოვრება ეძნელებოდა. დიახ, მსაჯობა დაიწყო და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდა. ნიადაგ მოჭიდავეთა წრეში ტრიალებს და თავს ბედნიერად თვლის. თუმცა მისი ძირითადი სამსახური სულ სხვაა — ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის დირექტორი გახლავთ.

არბიტრს კიევში გამართულ „კლასიკოსთა“ ასპარეზობის შემდეგ გავესაუბრეთ.

● **როგორი აზრი შეგექმნათ ჩვენს „კლასიკოსებზე“?**

— მათ გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს და ამით სათქმელი თქვეს. მიხარია, რომ იზრდება შესანიშნავი თაობა, რომელიც ახალ სახელებს გვპირდება. ჩვენი ჩემპიონები ნამდვილი ჩემპიონები არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისინი ჯერ კიდევ დავაჟკაცების გზაზე დგანან, ბევრი მათგანი ფიზიკურად ჩინებულად გამოიყურება. ერთი სიტყვით, კარგი მომავალი აქვთ.

● **სად ჭიდაობა და სად ბავშვთა სურათების გალერეა. თქვენ როგორ უკავშირებთ მათ ერთმანეთს?**

— სპორტი ხომ კულტურაა. ტყუილად კი არ არსებობს მცნება „ფიზიკური კულტურა და სპორტი“. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში სპორტი და ტურიზმი კულტურის სამინისტროს გამგებლობაში შედის. ასეც რომ არ იყოს, მხატვრობა ძალიან მიყვარს, მიყვარს ბავშვებიც. მოგეხსენებათ, მსაჯი ერთგვარი აღმზრდელიც გახლავთ. ასე რომ, იქაც და აქაც აღზრდას ვემსახურები. მსაჯის ობიექტურობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. გარდა იმისა, რომ არბიტრის გადაწყვეტილება შეჯიბრების საბოლოო შედეგს განსაზღვრავს, იგი მოზარდის სულზეც მოქმედებს. არაობიექტურმა მსაჯობამ მოზარდი სპორტსმენი შეიძლება სულიერად დააძაბუნოს და მომავლის რწმენაც დაუკარგოს.

● **მახსოვს, ერთხელ თბილისში, გალერეაში გესტუმრეთ ჩვენი გაზეთისთვის ბავშვთა რამდენიმე ნამუშევრის შესარჩევად. გვინდოდა თქვენი აზრი გაგვეგო პერსპექტიულ მხატვრებზე, მაგრამ რჩეულნი არ დაგვისახელეთ. როგორც ჩანს, აღზრდის საქმეში საკუთარი პრინციპებით ხელმძღვანელობთ.**

— დიახ, ჩვენ ახლა მოჭიდავეებზე ვსაუბრობდით, მაგრამ არც ერთი გვარი არ მიხსენებია. დითირამბები მოზარდს აყოყოჩებს. ჩვენი მოჭიდავეებისთვის სრულიად საკმარისია ის ჯილდოები, რომლებიც მათ აქ, კიევის სარბიელზე მიიღეს.

**საუბარი ჩაიწერა ავთანდილ გურასაშვილმა.**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**
**ავტორის ფოტო.**
კიევი — თბილისი.



ავთანდილ კუხიანიძე.

# ცხრა საპრიზო ადგილი — ათიდან

## მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

**ოსლო.** მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ათლეტებმა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატში გუნდური პირველობა მოიპოვეს, მწვრთნელები ცალკეულ წონით კატეგორიებში ალბათ უკეთეს შედეგებს ელოდნენ. სამი უმაღლესი ჯილდო მართლაც ცოტაა გუნდისთვის, რომელიც წინა ჩემპიონატებში ხუთ და, ზოგ შემთხვევაში, მეტ ოქროს მედალსაც იღებდა.

ამჯერად ჩვენი ნაკრები საგრძნობლად გაახალისებული და, რაც მთავარია, გაახალგაზრდავებული იყო. მაგრამ პირველი მოულოდნელობა მოხდა იქ, სადაც ამას ყველაზე ნაკლებად ველოდით. 62 კგ წონით კატეგორიაში ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა კომანდარ მაჯიდოვმა ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და ფინალამდე დიდი ხნით ადრე გამოეთიშა ასპარეზობას, განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მისი დამარცხება უნგრელ არპად შიპოშთან. მაჯიდოვმა მეტოქეს მხოლოდ 2 ქულა მოუგო, შიპოშმა კი — 10.

მოულოდნელი იყო ფინალში მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის იგორ კანიგინის დამარცხებაც (90 კგ). ვიტებსკელ მოჭიდავეს ვერცხლის მედალი ხვდა. პირველ საშუალო წონაში (82 კგ) მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის თეიმურაზ აფხაზავას „მემკვიდრედ" უფელი აბდულ-ბასირ ბატალოვი მიაჩნდათ. წლეულს ახალგაზრდა ათლეტს დაუთმეს კიდეც ადგილი ნაკრებ გუნდში. მაგრამ დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. უფრო სწორად, ბატალოვი მოხვდა პრიზიორთა სამეულში (II ადგილი დაიკავა), მაგრამ მთავარ ჯილდოს ვერ დაეპატრონა.

გაცილებით მეტს მოელოდნენ ახალგაზრდა, მზარდი მოჭიდავის ანატოლი ფედორენკოსაგან (გროდნო). მან მართლაც კარგად ჩაატარა წლევანდელი სეზონი და 100 კგ წონით კატეგორიაში რამდენიმე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ყველას ეგონა, რომ ფედორენკო მსოფლიო ჩემპიონატშიც გამოიჩენდა თავს. მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, გამოცდილება არ ეყო. პრინციპულ ბრძოლაში ბულგარელ ანდრეი დიმიტროვს ოდნავ ჩამორჩა და წააგო. ამგვარად, ფედორენკო ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

საბჭოთა მოჭიდავეთაგან მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს: ბაქოელმა **მაგიატდინ ალახვერდიევმა** (48 კგ), მოსკოველმა **მიხეილ მამიაშვილმა** (74 კგ) და ყარაგანდელმა **იგორ როსტოროცკიმ** (130 კგ). ვერცხლის მედალი ხუთმა მოჭიდავემ მოიპოვა — ულიანოვსკელმა მანსაიდ ტაზეტდინოვმა (52 კგ), მინსკელმა ოპანეს არუთინიანმა (57 კგ) და მიხეილ პროკუდინმა (68 კგ), უფელმა აბდულ-ბასირ ბატალოვმა (82 კგ) და ვიტებსკელმა იგორ კანიგინმა (90 კგ). გროდნოელმა ანატოლი ფედორენკომ (100 კგ), როგორც აღვნიშნეთ, მესამე ადგილი დაიკავა.

# პირველი წარმატება

**ნალჩიკში** დაიწყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის გათამაშება მოზარდ ფეხბურთელთა შორის „სიჭაბუკის" თასზე.

პირველ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ფეხბურთელებმა, რომლებმაც სასტარტო მატჩში ანგარიშით 5:2 დაამარცხეს ლენინგრადის გუნდი. მატჩის დამთავრებას ათიოდე წუთი აკლდა, ანგარიში კი ფრე იყო — 2:2. ამ პერიოდში ჩვენმა ფეხბურთელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და გამარჯვების მოპოვება. ჩვენი გუნდიდან 2 ბურთი გაიტანა გაბისონიამ, თითო — ნადარეიშვილმა, ქობახიძემ და გიორგაძემ. საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელია ო. გეგეჭკორი, მწვრთნელები ვ. დურსუნიში და რ. გაგუა.

პირველ ტურში უკრაინელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მოსკოვის გუნდი, ხოლო აზერბაიჯანისა და რსფსრ-ს კოლექტივების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. დღეს ერთმანეთს ხვდებიან საქართველოსა და უკრაინის გუნდები.

# საქართველოს თასზე

**ვანში** შაბათ-კვირას გაიმართა ფეხბურთში საქართველოს თასის მეორე ტურის შეხვედრები: ვანი — ახმეტა 1:0, „მოტორი" (თბილისი) — ხობი 1:3, აბაშა — ჩხოროწყუ 2:3, დუშეთი — გალი 3:2, „იმედი" (თბილისი) — ზუგდიდი 4:2, „მეტალურგი" (რუსთავი) — ყვარელი 4:0, წყალტუბო — „ულიანოვკა" (ქობულეთი) 11:2, „შევარდენი" (თბილისი) — გეგეჭკორი 1:2.

თასის შემდგომი ტურის წილისყრა მოეწყობა დღეს.



**სანქციები ძალაში დარჩა**

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციების კავშირის (უეფა) დისციპლინარულმა კომისიამ განიხილა „ლივერპულისა" (ინგლისი) და „იუვენტუსის" (იტალია) აპელაციები. როგორც ცნობილია, ამ გუნდებს მკაცრი სანქციები დაედოთ ბრიუსელში, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დროს მომხდარი ტრაგედიის შემდეგ. უეფა-მ „ლივერპულს" განუსაზღვრელი ვადით მისცა დისკვალიფიკაცია, ხოლო „იუვენტუსმა" ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ორი შეხვედრა საკუთარ მინდორზე მაყურებელთა გარეშე უნდა ჩაატაროს.

უეფა-ს წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ეს კლუბები პასუხს აგებენ თავიანთი გულშემატკივრების საქციელზე და ამიტომ დისციპლინარული კომისიის მიერ ადრე გამოტანილი სანქციები ძალაში რჩება.

**„ბრავოს" პრიზის ახალი ლაურეატი**

**იტალიური** ყოველკვირეული „გერინ სპორტივო" ყოველწლიურად ანიჭებს „ბრავოს" პრიზს ახალგაზრდა ფეხბურთელს (24 წლამდე), რომელიც ყველაზე მეტად გამოიჩენს თავს. 1984 წელს ეს ჯილდო იტალიური წარმოშობის ბელგიელ მოთამაშეს ვინჩენცო შიფოს ერგო.

წლევანდელ კონკურსში 34 სპორტულმა გაზეთმა, ჟურნალმა, რადიო და ტელეკომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ამჯერად დიდი უპირატესობით — 202 ხმით გაიმარჯვა მადრიდის „რეალის" თავდამსხმელმა ემილიო ბუტრაგენომ. 163 ხმა მისცეს „ლივერპულის" თავდამსხმელ იენ რაშს. მესამე ადგილზე გასულმა შარშანდელმა ლაურეატმა ვინჩენცო შიფომ (ბრიუსელის „ანდერლეჰტი") 141 ხმა მიიღო.

**„პანათინაიკოსის" ახალი მწვრთნელი**

**ფეხბურთში** საბერძნეთის მრავალგზის ჩემპიონს ათენის „პანათინაიკოსს" ახალი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. ეს გახლავთ არგენტინის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი სესარ ლუის მენოტი, რომელიც ბოლო ერთი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც „ბარსელონას" გამოეთხოვა, ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა.

**პირველად ისტორიაში**

**მწვანე** მინდორზე მხოლოდ ვაჟი ფეხბურთელები როდი უხეშობენ! ამას წინათ უეფა-ს საკონტროლო და სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა ჩრდილოეთ ირლანდიისა და ირლანდიის რესპუბლიკის ქალთა ნაკრები გუნდების შეხვედრის შესახებ.

პირველად უეფა-ს არსებობის ისტორიაში მიღებულია მკაცრი სანქცია უხეში ფეხბურთელი ქალის მიმართ: ჯილიან ტოტონს (ჩრდ. ირლანდია) მიეცა დისკვალიფიკაცია ევროპის პირველობის ოთხი მატჩით.

# ნიგერიის გუნდი ჩემპიონია

**ჩინეთის** სახალხო რესპუბლიკის ქალაქებში დამთავრდა 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ფინალური შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი იყვნენ 4 ჯგუფად:

**„ა" ჯგუფი.** ჩინეთი, გვინეა, აშშ, ბოლივია. მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ჩინეთისა და გვინეის ფეხბურთელებმა.

**„ბ" ჯგუფი.** ავსტრალია, გფრ, არგენტინა, კონგო. მეოთხედფინალში გავიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ავსტრალიის გუნდები.

**„ც" ჯგუფი.** იტალია, საუდის არაბეთი, კოსტა-რიკა, ნიგერია. წარმატებას მიაღწიეს საუდის არაბეთისა და ნიგერიის წარმომადგენლებმა.

**„დ" ჯგუფი.** უნგრეთი, ბრაზილია, მექსიკა, კატარი. მეოთხედფინალში გავიდნენ უნგრელები და ბრაზილიელები.

მეოთხედფინალური მატჩები: გფრ — ჩინეთი 4:2, ბრაზილია — საუდის არაბეთი 2:1, ნიგერია — უნგრეთი 3:1, გვინეა — ავსტრალია 4:2 (დამატებითი პენალტებით).

ნახევარფინალებში ნიგერიელებმა დაამარცხეს გვინეის გუნდი, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მოუგო ბრაზილიელ ფეხბურთელებს. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ნიგერია — გფრ. ნიგერიელებმა შესანიშნავად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ნიგერიელი ჭაბუკი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. მეორე ადგილზე გავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, ხოლო მესამეზე — ბრაზილიის გუნდი, რომელმაც ანგარიშით 4:1 დაამარცხა გვინეელები.

უცხოეთის პრესა აღნიშნავს ნიგერიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჭაბუკ ფეხბურთელთა კარგ მომზადებას, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია დასავლეთგერმანელი მ. ვიტეჩეკი, რომელმაც 6 მატჩში 8 ბურთი გაიტანა.

ამ ასაკის ფეხბურთელთა შემდგომი მსოფლიო ჩემპიონატი 1987 წელს გაიმართება კანადაში.

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**შესარჩევი ციკლი, აფრიკა**

**როგორც** ვიტყობინებოდით, აფრიკის ზონაში გამოვლინდა ოთხი გუნდი, რომელთა გადამწყვეტმა შეხვედრებმაც მსოფლიოს 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ორი მონაწილე უნდა დაასახელოს.

მეოთხედფინალური მატჩები ასეთი შედეგით დამთავრდა: ტუნისი — ნიგერია 0:1, 2:1, ალჟირი — ზამბია 2:0, 1:0, მაროკო — ეგვიპტე 0:0, 2:0, ლიბია — განა 0:0, 2:0.

პირველი ოთხეული ორ წყვილს შექმნის. აქ გამარჯვებული გუნდები მოიპოვებენ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წილისყრას. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ უკვე მოაწყო წილისყრა, მონაწილე გუნდები კი მისი შედეგებით უკმაყოფილონი დარჩნენ და პროტესტით მიმართეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას.

ახლა წილისყრას ტუნისის, ალჟირის, მაროკოსა და ლიბიის გუნდებს შორის ჩაატარებს უშუალოდ მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი.

# I ლიგა

11 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მეორე ეტაპის შეხვედრები.

**„ა" ჯგუფი (I-XII ადგილები)**

**„დინამო" (ბათუმი) — „დაუგავა" (რიგა) 2:2 (1:0)**

**ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 11 აგვისტო.**

**„დინამო":** მამინაშვილი, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, თორღაშვილი, ქვანია (შანიძე), ბაბუნიძე, გორგილაძე, შელია, ესებუა.

**„დაუგავა":** კულაკოვი, დეგლისი, ვ. სემიონოვი, ს. სემიონოვი, შევლიაკოვი, პოპკოვი, შიტიკოვი, კანიშჩევი, სტარიკოვი, მილევსკი, ინტერბერგი.

**მსაჯი მ. იოფე (მოსკოვი).**

გათამაშების ლიდერთან ბათუმელებმა შესუსტებული შემადგენლობით ითამაშეს. თბილისის „დინამოში" გაწვეული რ. ჩელებაძის, გ. ზედანიასა და ბ. დანელიას შეცვლა იოლი საქმე არ იყო, მაგრამ მასპინძლებმა მაინც კარგად დააკომპლექტეს გუნდი და თითქმის მთელი თამაშიც საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს. ეს მატჩი ერთ-ერთი საუკეთესო იყო დინამოელთათვის და მათს მეკარეს რომ ბოლო წუთზე შეცდომა არ მოსვლოდა, ლიდერი დამარცხებული დატოვებდა მინდორს.

დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. ზედიზედ რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს ანდღულაძემ, გორგილაძემ, ბაბუნიძემ. მე-19 წუთზე გორგილაძე ქვანიას გადაცემით საგოლე პოზიციაში გავიდა, მაგრამ ამ დროს რიგელთა მცველებმა იგი უხეშად წააქციეს. 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა გორგილაძემ — 1:0.

„დაუგავას" პირველ ტაიმში არსებითად, ერთხელ თუ ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი (მილევსკი), ბათუმელები კი შესვენების შემდეგაც ენერგიულად უტევდნენ და 63-ე წუთზე ქვანია-ესებუას კომბინაცია სტუმართა კარში გატანილი მეორე გოლით დამთავრდა — 2:0.

რიგელებმა პირველი საპასუხო ბურთი 69-ე წუთზე გაიტანეს (სტარიკოვი), ბოლო, 90-ე წუთზე კი დამარცხებას გადაურჩნენ: საჯარიმო მოედანზე ბურთისთვის იბრძოდნენ სტარიკოვი და ანდღულაძე, მამინაშვილი ნაადრევად გამოვიდა კარიდან და სტარიკოვმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

სხვა შეხვედრები ჯგუფში ასეთი შედეგებით დამთავრდა: ცსკა — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 2:1, „პამირი" (დუშანბე) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 1:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 4:2, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 2:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 3:2.

**„ბ" ჯგუფი (XIII-XXII ადგილები)**

**„გურია" (ლანჩხუთი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:0 (1:0)**

**ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 11 აგვისტო.**

**„გურია":** მჭედლიძე, გილიგაშვილი, ვერულაშვილი, თევზაძე, მელიქია, ებანოიძე (ხანიკიძე), კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ბაბილოძე, უგრელიძე, აკოფიანი.

**„ნისტრუ":** ჩებოტარიოვი, ტეგლეცოვი, კარასი, სირბუ, ბელი, შულაევი, გამარცი (ტვერდოხლებოვი), ჩებანუ, სპირიდონოვი, კანიშევი, დობროვოლსკი.

ძლიერი სიცხის გამო ორივე გუნდის ფეხბურთელები დასაწყისში დაბალი ტემპით, უხალისოდ თამაშობდნენ. მხოლოდ 20-25 წუთის შემდეგ დაეტყოთ გამოცოცხლება ლანჩხუთელ ფეხბურთელებს, რომლებიც სულ უფრო უმატებდნენ ტემპს. „ნისტრუს" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, 31-ე წუთზე აკოფიანმა კარგად გამოიყენა კოპალეიშვილის გადაცემა და კიშინიოველთა კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა.

ლანჩხუთელ ფეხბურთელებს არც შემდგომ შეუნელებიათ იერიშები. 70-ე წუთზე „ნისტრუს" მხარეს დანიშნული საჯარიმო კარგად გამოიყენა ტყებუჩავამ და დაახლოებით 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა ბურთი მეტოქის კარში — 2:0.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ყუბანი" (კრასნოდარი) — „კუზბასი" (კემეროვო) 2:2, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ისკრა" (სმოლენსკი) 1:2, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:2.

**გათამაშების ცხრილები**

**მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის**

**„ა" ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა" | 25 | 13 | 9 | 3 | 40-16 | 35 |
| ცსკა | 25 | 11 | 10 | 4 | 44-25 | 32 |
| „როტორი" | 24 | 10 | 9 | 5 | 40-26 | 29 |
| ასკ ხ. | 24 | 11 | 5 | 8 | 39-39 | 27 |
| „პამირი" | 23 | 10 | 7 | 6 | 30-20 | 27 |
| „შინიკი" | 23 | 9 | 9 | 5 | 29-28 | 27 |
| „კოტაიკი" | 24 | 12 | 2 | 10 | 35-31 | 26 |
| „ლოკომოტ." | 23 | 10 | 6 | 7 | 25-28 | 26 |
| ასკ „კარ." | 22 | 9 | 7 | 6 | 29-21 | 25 |
| „დინამო" ბ. | 24 | 10 | 4 | 10 | 35-35 | 24 |
| „დინ." სტ. | 24 | 10 | 4 | 10 | 20-24 | 24 |
| „კოლოსი" | 23 | 9 | 4 | 10 | 28-30 | 22 |

**„ბ" ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუზბასი" | 24 | 10 | 4 | 10 | 36-33 | 24 |
| „გურია" | 23 | 10 | 3 | 10 | 29-27 | 23 |
| „მეტალურ." | 24 | 9 | 5 | 10 | 25-32 | 23 |
| „ფახთაქ." | 23 | 7 | 9 | 7 | 28-25 | 23 |
| „სპარტაკი" | 23 | 10 | 2 | 11 | 28-30 | 22 |
| „კრ. სოვ." | 24 | 5 | 10 | 9 | 20-27 | 20 |
| „ყუბანი" | 24 | 7 | 3 | 14 | 29-36 | 17 |
| „ნისტრუ" | 24 | 6 | 4 | 14 | 21-39 | 16 |
| „ისკრა" | 24 | 4 | 6 | 14 | 14-31 | 14 |
| „ზვეზდა" | 23 | 4 | 6 | 13 | 24-44 | 14 |

## მკითხველი — გაზეთი

**გთხოვთ „ლელოს" საშუალებით გაგვაცნოთ, ვინ გამოდის ახლად შექმნილი ბრაზილიის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში?**

აფხაზეთის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ფეხბურთის მოყვარულთა ჯგუფი.

**როგორც** ცნობილია, ახალი მწვრთნელის ტელე სანტანას ხელმძღვანელობით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს, გუნდმა უკვე მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. ბრაზილიელთა შემადგენლობაში ახლა ირიცხებიან: მეკარეები — კარლოსი („კორინტიანსი") და პაულო ვიქტორი („ფლუმინენსე"), დაცვა — ჟუნიორი (იტალიის „ტორინო"), ოსკარი („სან-პაულუ"), ლეანდრო, ედსონი (ორივე — „კორინტიანსი"), ედინიო (იტალიის „უდინეზე"), ბრანკო („ფლუმინენსე"), მოზერი („ფლამენგო"), ლუის კარლოსი („ინტერნაციონალი"), ვლადიმირი („კორინტიანსი"), ჟულიო სეზარი (პარაგვაის „გუარანი"). შუა ხაზი — კასაგრანდე („კორინტიანსი"), ტონინიო სერეზო (იტალიის „რომა"), სოკრატესი (იტალიის „ფიორენტინა"), რენატო, ჟანდირო (ორივე — „ფლუმინენსე"), ჯოვანი („ვასკო და გამა"), ალემაო („ბოტაფოგო"), დემა („სანტოსი"), თავდასხმა — ზიკო („ფლამენგო"), ედერი („ატლეტიკო მინეირო"), კარეკა („სან-პაულუ"), ბებეტო („ფლამენგო"), მარიო სერჟიო („პალმეირასი"), რეინალდო („ატლეტიკო მინეირო").

## მოკლედ

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ დრეზდენში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი „დრეზდენი-85". შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებიც. ტორპედოელებმა პირველად ჩეხოსლოვაკიის „რუდა ჰვეზდა" დაამარცხეს — 4:2, შემდეგ ფრედ ითამაშეს დრეზდენის „დინამოსთან" — 1:1, მთავარ ფინალში კი ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუცის „სიგმას" შეხვდნენ და წააგეს ანგარიშით 1:3. მესამე ადგილზე გავიდა დრეზდენის „დინამო", რომელმაც „მცირე ფინალში" ანგარიშით 6:3 დაამარცხა „სტალი" (გდრ, ქ. რიზა).

**დამთავრდა** ბრაზილიის 1985 წლის ჩემპიონატი, რომლის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პროვინციული, ნაკლებად პოპულარული გუნდები „ბანგუ" და „კურიტიბა". მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა „კურიტიბამ" (6:5) და ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა.



## დიდი სპორტის კარიბჭესთან

**როცა მშობელი შვილს ცურვის სექციაში მეცადინეობას ურჩევს, მის ჩემპიონობაზე როდი ფიქრობს. სურს ბავშვმა ცურვა ისწავლოს, ჯანმრთელობა გაიკაჟოს, რომ თუ ვინიცობაა წყალში ხიფათი შეემთხვა, სხვის დაუხმარებლად დააღწიოს თავი განსაცდელს, მაგრამ თუ ეს საჭირო გახდება, სხვასაც დაეხმაროს.**

# ოცნებობს ახალ მიღწევებზე

ზაზა ზურაბაშვილის მშობლებიც ასე ფიქრობდნენ, როცა შვილი „ნორჩი დინამოელის" მოცურავეთა სექციაში ცაცა ზაქარეიშვილს მიაბარეს, მაგრამ როცა კარგად ისწავლა ცურვა, ზაზა სპორტულმა ჟინმა შეიპყრო. მოინდომა სექციაში ყველასთვის ეჯობნა და აჯობა კიდეც. მერე სალეროლი აეშალა და თბილისის დინამოელთა შეჯიბრებაშიც იყოჩაღა. ასე დაიწყო მისი აღმასვლა. მალე ზაზას საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა იგორ კოიფმანმა დაადგა თვალი. იმ დროს კოიფმანის ერთ-ერთი შეგირდი — ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტაიერი იგორ კუშპელიოვი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი მთელი ევროპის მასშტაბით ყველასთვის საშიში მეტოქე გახდა. ზაზას სურდა, როგორც იგორს, მასაც სწრაფად და ლამაზად ეცურავა, თანაც სტაიერულ დისტანციებზე. საამისო მონაცემებიც აღმოაჩნდა.

დღეს ზაზა ზურაბაშვილი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს. არის სპორტის ოსტატი, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი, „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი. ბაქოში გამართულ მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატში, სადაც 18 წლისა და უმცროსი ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ზაზამ 400 და 1500 მეტრზე მეხუთე-მეოთხე ადგილები დაიკავა.

ტაშკენტში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ზაზა ზურაბაშვილმა რამდენიმე დისტანციაზე იასპარეზა და საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტი ქულა მოუტანა. ახალგაზრდა სპორტსმენი მონდომებით ემზადება დიდი ასპარეზობებისთვის. პირველი ასეთი შეჯიბრება მისთვის ალბათ სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადა იქნება.

**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.**

### ინფორმაცია

**სოფია.** წყალბურთში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ფრედ (7:7) დაამთავრა გადამწყვეტი შეხვედრა იუგოსლავიის გუნდთან. ვერცხლის მედალი იუგოსლავიის ნაკრებს ხვდა, ბრინჯაოსი — გფრ-ის გუნდს.

**კოპენჰაგენი.** ევროპის ცხენოსანთა ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებს ცხენის გაწვრთნაში ბრინჯაოს მედალი ხვდა. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ოლგა კლიმკო, ვლადიმერ კოვშოვი და ელენა პეტუშკოვა, 4735 ქულა დააგროვა. კლიმკომ თავის გუნდს 1624 ქულა შესძინა, კოვშოვმა — 1550, ხოლო პეტუშკოვამ — 1561. ოქროს მედალი გფრ-ის ცხენოსნებმა მოიპოვეს, ვერცხლისა — დანიის სპორტსმენებმა.

**მოსკოვი.** მშვიდობის მარათონის ტრასაზე 12 ქვეყნის 300-მდე უცხოელი სპორტსმენი გამოვიდა. სულ კი ამ შეჯიბრებაში 2500 რბენის მოყვარული ჩაება. პირველი ადგილი კუიბიშეველმა სტაიერმა ივანე ბოგდანოვმა დაიკავა. მარათონის ტრასაზე (42 კმ. და 195 მ.) მან 2:30.13,0 აჩვენა. ქალთა შორის უძლიერეს იყო ტოლიატელი რაისა კოზინა — 3:06.15,0.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# „კომეტა" მარათონის ტრასაზე

**1976 წელს,** როცა სპორტული სეზონის დასაწყისში თითქმის უცნობმა პორტუგალიელმა სტაიერმა კარლუშ ლოპეშმა ზედიზედ რამდენიმე დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვა, ჟურნალისტებმა მას „სეზონის კომეტა" უწოდეს. იმ წელიწადს მონრეალის ოლიმპიური თამაშები უნდა გამართულიყო და ლოპეშიც მაშინვე ამ თამაშების ფავორიტთა შორის ჩარიცხეს. ბევრმა არ იცოდა, რომ პორტუგალიელი სპორტსმენის ამ აღზევებას წარუმატებლობათა გრძელი ჯაჭვი უძღოდა წინ.

ევროპის 1971 წლის ჩემპიონატში კარლუშ ლოპეში, რომელსაც უკვე ჭაბუკი აღარ ეთქმოდა (24 წლისა გახლდათ), 10-კილომეტრიან დისტანციაზე მთელი ორი წრით ჩამორჩა გამარჯვებულს, ფინელ იუჰა ვიატიაინენს და ფინიშთან უკანასკნელი მივიდა. მაგრამ ამ მწარე მარცხმაც ვერ გაუნელა ჟიუტ პორტუგალიელს სირბილის სიყვარული. ლოპეში ბევრს ვარჯიშობდა, დარბოდა სტადიონზე და გზატკეცილზე, ბლანტ, ჭაობიან ადგილზე და ოკეანის ქვიშიან ნაპირზე, მძიმე პირობებში ვარჯიშით იმუშავებდა სტაიერის უპირველეს თვისებას — გამძლეობას. მაგრამ 28 წლის კაცს მაინც ისეთი შედეგები ჰქონდა, დიდ წარმატებებზე ფიქრი ზედმეტი იყო.

გარდატეხა, როგორც ზემოთ ითქვა, 1976 წელს მოხდა. ეტყობა, დაუღალავ შრომაში გატარებულმა წლებმა მაინც თავისი გაიტანა და მეტოქეებმა სარბენ ბილიკზე სულ სხვა ლოპეში იხილეს. კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ „სეზონის კომეტამ" სტადიონის ბილიკებზეც დაამარცხა მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი სტაიერი. ყველა, მიუნჰენის ოლიმპიადის ტრიუმფატორის ლასე ვირენის გარდა. ისინი სეზონის უმთავრესი შეჯიბრების — მონრეალის ოლიმპიადის სარბიელზე შეხვდნენ ერთმანეთს, 10 კილომეტრზე მოასპარეზე სტაიერთა ფინალურ გარბენში...

ლოპეშმა კარგა ხანს ითმინა რბენის დაბალი ტემპი, რომელიც დანარჩენმა მონაწილეებმა აირჩიეს და მხოლოდ მეხუთე კილომეტრზე გავიდა წინ. პორტუგალიელი ყოველ წრეზე მეთოდურად ზრდიდა სისწრაფეს და მეტოქეებს ინიციატივის გამოჩენის ყოველგვარ ხალისს უკარგავდა. დისტანციის ბოლოს ასეთი მზარდი ტემპი გაუსაძლისი აღმოჩნდა ბევრი ფინალისტისთვის და ლიდერთა ჯგუფმა შეთხელება დაიწყო. ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე დაწინაურებულთა „ტრიუმვირატიც" დაიშალა,. ცნობილმა ინგლისელმა სტაიერმა ბრენდან ფოსტერმაც ფარ-ხმალი დაყარა და ჩამორჩა. ლოპეშს უკან მხოლოდ ლასე ვირენი — მისი ყველაზე მრისხანე მეტოქე მიჰყვებოდა. ეს კი დამარცხებას უდრიდა. პორტუგალიელმა იცოდა, რომ უძლური იყო ფინელი სტაიერის საფინიშო სპურტის წინააღმდეგ. მართლაც, ვირენი ბოლო წრეზე მკვეთრად გაიჭრა წინ და მესამე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

მაგრამ პორტუგალიის სპორტისათვის ვერცხლის მედალიც დიდი წარმატება იყო და გულშემატკივრებმა ლოპეშს ლისაბონში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. თანამემამულეთა ასეთი აღიარებით გახარებულმა და ფრთაშესხმულმა სპორტსმენმა კიდევ უფრო მაღალი მწვერვალის დაპყრობა დაისახა მიზნად. მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ლოპეშს აქილევსის მყესი გაუწყდა. მკურნალობა ძალიან გაჭიანურდა და უიღბლო პორტუგალიელმა კინაღამ საბოლოოდ აიღო ხელი აქტიურ სპორტზე. საბედნიეროდ,



ორ წელიწადს ტანჯვა-წვალების შემდეგ ლოპეშს ფეხი მოურჩა.

ამ დროს უკვე ყველას დავიწყებული ჰყავდა სპორტსმენი, რომელმაც მონრეალში სენსაცია მოახდინა. ამასთან თვით პორტუგალიაშიც გამოჩდნენ ძლიერი მორბენლები. ეს თვით ლოპეშის დამსახურება გახლდათ, რამდენადაც მონრეალში მისმა წარმატებამ პორტუგალიაში მძლეოსნობის ნამდვილი ბუმი გამოიწვია. მძლეოსნურ სამყაროში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ფერნანდო მამედემ, რომელმაც შემდგომ ევროპისა და მსოფლიო რეკორდები დაამყარა. მარათონში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა როსა მოტამ. უფრო გვიან, მოტამ და ახალგაზრდა მძლეოსანმა ანტონიუ ლეიტაომ მონრეალის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს. პორტუგალიელ მწვრთნელებს ბევრ ქვეყანაში იწვევდნენ გამოცდილების გასაზიარებლად...

31 წლის ლოპეში კი იძულებული გახდა ყველაფერი თავიდან დაეწყო. ისევ ერთმანეთს მიჰყვა მძიმე, ქანცგამწყვეტი ვარჯიშის დღეები და... წარუმატებლობა საერთაშორისო სარბიელზე. მონრეალის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა მხოლოდ 1981 წელს დაიბრუნა ჩვეული სპორტული ფორმა. მას შემდეგ ლოპეშმა ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვა, მაგრამ მისი მთავარი მიზანი ოლიმპიური ოქროს მედალი იყო.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ სტარტებამდე დაუღალავმა პორტუგალიელმა მარათონშიც გამოსცადა თავი. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა — 1983 წელს ლოპეშმა ურთულეს დისტანციაზე 2:08.39 აჩვენა და მხოლოდ 2 წამით ჩამორჩა გამარჯვებულს, იმ დროისათვის უძლიერეს მძლეოსანს, ავსტრალიელ რობერტ დე კასტელას. ამ წარმატებამ ლოპეშს ბევრ რამეზე აუხილა თვალი. მართალია, იგი ხშირად იმარჯვებდა, მაგრამ ორჯერ დამარცხდა ყველაზე მთავარ შეჯიბრებაში — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. ორჯერვე მას სწორედ იმ მორბენლებმა აჯობეს, რომლებსაც მეტი საფინიშო სისწრაფე ჰქონდათ. მარათონში კი ეს თვისება ნაკლებ როლს თამაშობს. და ლოპეშმაც სწორი გადაწყვეტილება მიიღო — ლოს-ანჯელესში ბედი სწორედ მარათონში უნდა ეცადა.

37 წლის ვეტერანი გრძნობდა, რომ ეს ოლიმპიადა უკანასკნელი იქნებოდა მისთვის და ამიტომ საგულდაგულოდ ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1984 წლის სპორტული სეზონის დასაწყისში, სტოკჰოლმში გამართულ შეჯიბრებაში კარლუშ ლოპეშმა და ფერნანდო მამედემ ჰენრი რონოს მიერ 1978 წელს 10 კმ-ზე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს შეუტიეს. პორტუგალიელთა ცდა წარმატებით დაგვირგვინდა — 32 წლის მამედემ უკანასკნელ წრეზე გაუსწრო ლოპეშს და რონოს რეკორდი (27.22,5) თითქმის 9 წამით გააუმჯობესა — 27.13,81. მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა ლოპეშმაც — 27.17,48.

სამაგიეროდ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე როლები შეიცვალა. 10 კილომეტრზე მოასპარეზე მამედემ მარცხი იწვნია (დისტანცია მიატოვა), ოლიმპიური მარათონი კი ლოპეშის ტრიუმფალური გამარჯვებით დამთავრდა. საშუალო ტანის პორტუგალიელი სპორტსმენი (168 სმ, 55 კგ) სტარტიდან 30 კილომეტრის შემდეგ იმდენად დაწინაურდა, რომ ყველას ეგონა, მსოფლიო მიღწევა დაემხობაო. ფინიშთან ლოპეშმა ტემპს მოუკლო, მაგრამ ოლიმპიური მიღწევა მაინც გააუმჯობესა — 2:09.21. ეს გახლდათ პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი პორტუგალიის მძლეოსნობის ისტორიაში.

წლეულს ლოპეშმა გადაწყვიტა აქტიურ სპორტს ჩამოშორებოდა. „მე 38 წლისა ვარ, — განუცხადა მან ჟურნალისტებს, — აქედან 20 წელიწადი დიდ სპორტს მივუძღვენი. საკმარისია. მაგრამ ვიდრე სპორტიდან წავიდოდე, მინდა მარათონში მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა გავაუმჯობესო. ამას როტერდამში შევეცდები".

ალბათ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რაც სპეციალისტებმა და გულშემატკივრებმა გამოიჩინეს როტერდამის მარათონის მიმართ. ლოპეში სტარტიდანვე დაწინაურდა და ბოლომდე ატარა ლიდერის ტვირთი. დისტანციაც საოცრად თანაბრად გაირბინა. 20 კილომეტრის დაფარვას მან 1:00.10 მოანდომა, ორმოცისას — 2:00.34. და ბოლოს — 2:07.11! ფინიშთან მდგარი ხალხი თვალებს არ უჯერებდა — ძველი მსოფლიო მიღწევა ერთბაშად 54 წამით გაუმჯობესდა! მთელი 12 წელიწადი დასჭირდათ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს, რომ დერეკ კლეიტონის მიერ 1969 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი 20 წამით გაეუმჯობესებინათ (ახალი რეკორდსმენი ამერიკელი ალბერტო სალაზარი გახლდათ). შარშან ინგლისელმა სტივ ჯონსმა ამ შედეგს კიდევ 5 წამი ჩამოაკლო. ახლა კი ერთბაშად 54 წამი! როტერდამში ლოპეშმა მეორე ადგილზე გასული ძლიერი ინგლისელი მარათონელი გრეჰემი თითქმის 3 წუთით ჩამოიტოვა.

რაღაცნაირად მარათონულ დისტანციას წააგავს ლისაბონელი ბანკის მოსამსახურის მიერ განვლილი სპორტული გზაც — ხანგრძლივი, ძნელი და საინტერესო. მან ეს გზა ისევე ღირსეულად დაასრულა, როგორც მარათონში გამარჯვებული კაცი ურთულეს დისტანციას ამთავრებს ხოლმე.

**გიორგი ხოშიშვილი.**




**ცენტრალური ტელევიზია.** 13 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საჭადრაკო სკოლა — 14.30 (2); მოსკოვის საერთაშორისო მარათონი — 16.05 (2); გადაცემა: „ვის ქუჩაზეა ზეიმი?" — 20.00 (1); სსრ კავშირის თასი ფეხბურთში: „დინამო" (კიევი) — ასკ (როსტოვი) — 20.00 (2).

**საკავშირო რადიო.** დილის ტანვარჯიში — 6.15 და 7.15; საწარმოო ტანვარჯიში — 12.00.

### „სპორტლოტო"

**გუშინწინ** შედგა „სპორტლოტოს" მორიგი 32-ე ტირაჟი.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** 2 (ბიატლონი), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 12 (ტანვარჯიში), 19 (სათხილამურო რბოლა), 29 (სასტენდო სროლა), 41 (სამბო).

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 10 (წყალბურთი), 21 (ცურვა), 30 (ძალოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი).

**სპორტული** ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო „სპორტლოტოს" მოყვარულებს აცნობებს, რომ „სპორტლოტოს" ყუთებში ბარათების „ბ" ნაწილების ჩაგდების ვადები გაგრძელებულია:

**ხოიუზპეჩატის ჯიხურებში — ყოველი პარასკევის 12 საათამდე.**

მორიგე ყუთებში — **ლენინის მოედანზე** (მიწისქვეშა გასასვლელში), **№ 3529** (პლეხანოვის პროსპ., 154), **№ 3528/013** (პუშკინის, 17), **№ 3529/0255** (ელიავას, 26) შემნახველ სალაროებში, **თბილქალაქცნობის ჯიხურში** (მარჯანიშვილის მოედანი) და **„სპორტლოტოს" რესპუბლიკურ სამმართველოში** (ელიავას, 26) — ყოველი პარასკევის 15 საათამდე.

გთხოვთ ზუსტად დაიცვათ მითითებული ვადები.

შეგახსენებთ, რომ პრეტენზიები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღება, თუ ზუსტად მიუთითებთ იმ „სპორტლოტოს" ყუთის ადგილმდებარეობას და ნომერს, რომელშიც ჩაუშვით ბარათის „ბ" ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზიები არ განიხილება.

**საქსპორტლოტო.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

**ჩვენი ინდექსია:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22უე 08828